

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	-2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	-7-
2.2 მოგება-ზარალის ანგარიშგება	-8-
2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	-9-
2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	-10-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	-11-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ-ის დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ-ისა და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში „ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 16 იანვარს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ნაღდი ფულის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური მდგომარეობის, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლისა და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგებებში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ფლას ავთენტიკ ინვესტიმენტ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ფლას ავთენტიკ ინვესტიმენტ ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება

ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

შპს ფლას ავთომობილ ინვესტიციების კონსოლიდირებული ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)			
		31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	104,637	70,459
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	9	776,147	1,283,030
გადახდილი ავანსები	9	1,472,641	1,718,043
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	4,268,116	3,816,618
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		157,475	110,427
სულ მიმდინარე აქტივები		6,779,016	6,998,577
ძირითადი საშუალებები	6	85,937,703	134,208,279
არამატერიალური აქტივები	7	660,620	660,620
სულ გრძელვადიანი აქტივები		86,598,323	134,868,899
სულ აქტივები		93,377,339	141,867,476
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		11,161,351	15,039,364
მოკლევადიანი სესხები		19,224,038	28,340,050
საგადასახადო ვალდებულებები		304,705	649,926
გადასახდელი ხელფასები		258,834	539,155
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		16,146,584	9,136,845
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		0	505,474
მიმდინარე ვალდებულებები		47,095,512	54,210,814
გრძელვადიანი სესხები	11	6,607,856	6,217,302
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები		45,660,036	70,557,417
გრძელვადიანი ვალდებულებები		52,267,892	76,774,719
სულ ვალდებულებები		99,363,404	130,985,533
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		84,165,313	84,165,313
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		-90,151,378	-73,283,370
მთლიანი კაპიტალი		-5,986,065	10,881,943
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		93,377,339	141,867,476


დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)			
		31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	104,637	70,459
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	9	776,147	1,283,030
გადახდილი ავანსები	9	1,472,641	1,718,043
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	4,268,116	3,816,618
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		157,475	110,427
სულ მიმდინარე აქტივები		6,779,016	6,998,577
ძირითადი საშუალებები	6	85,937,703	134,208,279
არამატერიალური აქტივები	7	660,620	660,620
სულ გრძელვადიანი აქტივები		86,598,323	134,868,899
სულ აქტივები		93,377,339	141,867,476
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		11,161,351	15,039,364
მოკლევადიანი სესხები		19,224,038	28,340,050
საგადასახადო ვალდებულებები		304,705	649,926
გადასახდელი ხელფასები		258,834	539,155
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		16,146,584	9,136,845
გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		0	505,474
მიმდინარე ვალდებულებები		47,095,512	54,210,814
გრძელვადიანი სესხები	11	6,607,856	6,217,302
გრძელვადიანი სალიზინგო ვალდებულებები		45,660,036	70,557,417
გრძელვადიანი ვალდებულებები		52,267,892	76,774,719
სულ ვალდებულებები		99,363,404	130,985,533
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		84,165,313	84,165,313
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		-90,151,378	-73,283,370
მთლიანი კაპიტალი		-5,986,065	10,881,943
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		93,377,339	141,867,476

დირექტორი



ფინანსური მენეჯერი



შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის კონსოლიდირებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში ი)

		2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	<u>11</u>	16,417,958	60,730,975
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	<u>12</u>	-13,893,406	-23,106,150
საერთო მოგება/ზარალი		2,524,552	37,624,825
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი		-3,386,640	-5,227,920
იჯარის ხარჯი		-121,633	-336,913
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები		-449,641	-874,923
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		-104,379	-114,127
მარკეტინგული ხარჯი		-89,769	-262,026
მიწოდების სხვა ხარჯი		-562	-26,850
თვითმფრინავების ნაწილებისა და რემონტის ხარჯი		-2,895,318	-6,259,965
ოფისისა და მ/საშუალებების რემონტის ხარჯი		-4,950	-2,125
დაზღვევის ხარჯი		-890,605	-2,263,167
კომუნალური ხარჯი		-5,946	-27,868
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი		-132,233	-113,473
მივლინების ხარჯი		-74,435	-1,653,585
წარმომადგენლობითი ხარჯი		-4,013	-13,845
სხვა საგადასახადო ხარჯი		-45,497	-4,205
სამეურნეო ხარჯი		-25,858	-46,718
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		-5,706,927	20,397,115
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-8,766,825	-13,186,617
საპროცენტო შემოსავალი		0	2,917
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		-1,441,194	101,637
საპროცენტო ხარჯი		-2,121,805	-3,862,191
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		1,168,744	22,304,598
მოგება დაბეგვრამდე		-16,868,008	25,757,459
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		-16,868,008	25,757,459

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის კონსოლიდირებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(თანხები მოცემულია ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	<u>11</u> 16,417,958	60,730,975
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	<u>12</u> -13,893,406	-23,106,150
საერთო მოგება/ზარალი	2,524,552	37,624,825
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	-3,386,640	-5,227,920
იჯარის ხარჯი	-121,633	-336,913
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	-449,641	-874,923
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-104,379	-114,127
მარკეტინგული ხარჯი	-89,769	-262,026
მიწოდების სხვა ხარჯი	-562	-26,850
თვითმფრინავების ნაწილებისა და რემონტის ხარჯი	-2,895,318	-6,259,965
ოფისისა და მ/საშუალებების რემონტის ხარჯი	-4,950	-2,125
დაზღვევის ხარჯი	-890,605	-2,263,167
კომუნალური ხარჯი	-5,946	-27,868
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	-132,233	-113,473
მივლინების ხარჯი	-74,435	-1,653,585
წარმომადგენლობითი ხარჯი	-4,013	-13,845
სხვა საგადასახადო ხარჯი	-45,497	-4,205
სამეურნეო ხარჯი	-25,858	-46,718
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	-5,706,927	20,397,115
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-8,766,825	-13,186,617
საპროცენტო შემოსავალი	0	2,917
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-1,441,194	101,637
საპროცენტო ხარჯი	-2,121,805	-3,862,191
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	1,168,744	22,304,598
მოგება დაბეგვრამდე	-16,868,008	25,757,459
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	-16,868,008	25,757,459

დირექტორი



ფინანსური მენეჯერი



**შპს ფლას ავიეიშენ ინვესთმენტ ჯგუფის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების
მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-8,323,804	7,208,164
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	24,199,943	57,772,466
მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-28,898,651	-45,204,617
გადახდილი ხელფასები	-2,849,023	-4,159,228
გადახდილი გადასახადი	-745,520	-1,136,253
გადახდილი სხვა ხარჯები	-30,554	-64,205
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	18,343,785	-208,898
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-4,342	-211,862
მიღებული პროცენტი	0	2,965
	18,348,127	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-9,835,932	-7,191,498
კაპიტალის ზრდა	0	22,434
სესხის დაფარვა	-9,835,932	-7,213,932
	0	
სავალუტო კურსის ეფექტი	-149,872	-127,497
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	34,178	-319,728
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	70,459	390,188
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	104,637	70,459

დირექტორი


ფინანსური მენეჯერი

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების
მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(თანხები მოცემულია ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-8,323,804	7,208,164
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	24,199,943	57,772,466
მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-28,898,651	-45,204,617
გადახდილი ხელფასები	-2,849,023	-4,159,228
გადახდილი გადასახადი	-745,520	-1,136,253
გადახდილი სხვა ხარჯები	-30,554	-64,205
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	18,343,785	-208,898
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-4,342	-211,862
მიღებული პროცენტი	0	2,965
	18,348,127	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-9,835,932	-7,191,498
კაპიტალის ზრდა	0	22,434
სესხის დაფარვა	-9,835,932	-7,213,932
	0	
სავალუტო კურსის ეფექტი	-149,872	-127,497
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	34,178	-319,728
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	70,459	390,188
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	104,637	70,459

დირექტორი



ფინანსური მენეჯერი



შპს ფლას ავთომობილ ინვესტიციების კაპიტალში ცვლილებების
კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31, დეკემბერი, 2020	84,142,879		-109,707,447	-25,564,568
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			10,668,246	10,668,246
31, დეკემბერი, 2021	84,142,879	0	-99,039,201	-14,896,321
შენატანები კაპიტალში	22,434			22,434
პერიოდის შემოსავალი			25,755,831	25,755,831
31, დეკემბერი, 2022	84,165,313	0	-73,283,370	10,881,943
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			-16,868,008	-16,868,008
31, დეკემბერი, 2023	84,165,313	0	-90,151,378	-5,986,065

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი


შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის კაპიტალში ცვლილებების
კონსოლიდირებული ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
31, დეკემბერი, 2020	84,142,879		-109,707,447	-25,564,568
შენატანები კაპიტალში პერიოდის შემოსავალი			10,668,246	10,668,246
31, დეკემბერი, 2021	84,142,879	0	-99,039,201	-14,896,321
შენატანები კაპიტალში პერიოდის შემოსავალი	22,434		25,755,831	22,434
31, დეკემბერი, 2022	84,165,313	0	-73,283,370	10,881,943
შენატანები კაპიტალში პერიოდის შემოსავალი			-16,868,008	-16,868,008
31, დეკემბერი, 2023	84,165,313	0	-90,151,378	-5,986,065

დირექტორი



ფინანსური მენეჯერი



შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ-ის
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/ნ 406311842

კომპანიის დამფუძნებლებია:

რატი ბაკურაძე, 01024062061 51%

ჭენგლიანგ ლიუ, E25444867 49%

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია რატი ბაკურაძე, 01024062061

„კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ვიქტორ კუპრადის ქუჩა, № 72, კორპუსი № 2, ბინა № 54

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ-ის თავად რაიმე საქმიანობას არ ეწევა. მას არ გააჩნია საკუთარი აქტივები და ვალდებულებები. მისი ერთადერთი ქონებაა შვილობილ საწარმოს შპს მაივეი ეარლაინს კო ლტდ-ს (ს/ნ 406178835) 100%-იანი წილი.

თავის მხრივ შპს მაივეი ეარლაინს კო ლტდ-ს საქმიანობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს მგზავრებისა და ტვირთის საჰაერო გადაზიდვები, ძირითადად საერთაშორისო ავიარეისების განხორციელების გზით.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „ჯგუფი“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ „ჯგუფი“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და უახლოეს პერიოდში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ჯგუფმა 2023 წელი დაასრულა 16,86 მლნ ლარიანი ზარალით. რაც ძირითადად გამოწვეული იყო სუდანის რესპუბლიკაში დაწყებული სამომხმარებლო მოქმედებების შედეგად ორი საჰაერო ომალი დაკარგვით. თუმცა სადაზღვეო კომპანიამ აღნიშნული ზარალი სრულად აანაზღაურა 2023-2024 წლებში. შესაბამისად საწარმოს აქტივებმა 0,62 მლნ-ით გადააჭარბა მის ვალდებულებებს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 სამუშაო ვალუტა

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „ჯგუფი“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

4.2 ძირითადი საშუალებები

4.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „ჯგუფი“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

4.2.2 ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
საჰაერო ხომალდები	8 წელი
მანქანები და მოწყობილობები	5 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე

4.2.3 აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

4.3 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად,

რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

4.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ასეთი არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, ხდება მისი ღირებულების შეფასება და გაუფასურების გამოვლენის შემთხვევაში აღირიცხება როგორც გაუფასურების ზარალი.

4.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა MIDL ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

4.6 ფინანსური ინსტრუმენტები

4.6.1 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით ან შეფასების მეთოდით რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა ან რეალიზაცია რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით კერძოდ თარიღით როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „ჯგუფმა“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

4.6.2 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და

აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „ჯგუფისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

4.7 გადასახადები

4.7.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.7.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

4.8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

4.9 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

სახელმწიფო ტენდერები

სახელმწიფო ტენდერების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ონლაინ ტენდერებში გამარჯვების შედეგად საქონლის მიწოდება კონტრაგენტისათვის.

4.10 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„ჯგუფი“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ინფორმაცია კომპანიის დაზღვევის სფეროების/სახეობების შესახებ კომპანიების ჯგუფის ზოგადი პოლიტიკაა საოპერაციო საქმიანობისას ყველა შესაძლო რისკის დაზღვევა, რომელიც მოიცავს:

- ძირითად საშუალებებსა და რემონტს
- მარაგებს
- გადაზიდვებს და პასუხისმგებლობას
- იმპორტირებულს საქონელს გზაში

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძველად უდევს აღნიშნული მომხმარებლის გადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	საჭაერო ტრანსპორტი	ავტო ტრანსპ ორტი	ძალოვანი დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილ ობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	0	185,137,175	128,173	328,982	649,574	186,243,903
შემოსვლა			28,143	36,798	146,922	211,863
გასვლა						
2022 წლის 31 დეკემბერი	0	185,137,175	156,316	365,780	796,495	186,455,766
შემოსვლა					4,342	4,342
გასვლა		62,788,045	15,009			62,803,054
2023 წლის 31 დეკემბერი	0	122,349,129	141,307	365,780	800,837	123,657,054

დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბერი	0	38,466,190	108,833	177,888	307,958	39,060,869
ცვეთის ხარჯი		12,959,602	18,260	67,542	141,213	13,186,617
გასვლა						0
2022 წლის 31 დეკემბერი	0	51,425,792	127,093	245,430	449,171	52,247,486
ცვეთის ხარჯი		8,564,439	5,629	65,696	131,062	8,766,826
გასვლა		23,281,113	13,849			23,294,962
2023 წლის 31 დეკემბერი	0	36,709,119	118,872	311,126	580,232	37,719,350
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	0	146,670,985	19,340	151,094	341,616	147,183,034
2022 წლის 31 დეკემბერი	0	133,711,383	29,222	120,350	347,325	134,208,280
2023 წლის 31 დეკემბერი	0	85,640,011	22,434	54,654	220,605	85,937,704

7. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
31 დეკემბერი 2021 წელი წმინდა საბალანსო ღირებულება	660,620
შესყიდვები	0
რეალიზებული აქტივი	-
31 დეკემბერი 2022 წელი აკუმულირებული ცვეთა	<u>0</u>
31 დეკემბერი 2022 წელი წმინდა საბალანსო ღირებულება	660,620
შესყიდვები	0
რეალიზებული აქტივი	-
31 დეკემბერი 2023 წელი აკუმულირებული ცვეთა	<u>0</u>

31 დეკემბერი 2023 წელი წმინდა საბალანსო
ღირებულება

660,620

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება ავიაბილეთების ინტერნეტშესყიდვას, საბუღალტრო, და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული ლარებში	0	22,392
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	20,620
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15,457	14,384
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89,180	13,060
სულ	104,637	70,456

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2023	2022
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	776,147	1,283,030
გადახდილი ავანსები	1,472,641	1,718,043
სულ	2,248,788	3,001,073

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2023 წელი	2022 წელი
საწვავ-საცხები მასალები	51,106	220,418
სპეცტანსაცმელი	61,026	61,026
მზა პროდუქცია	107,544	107,544
სათადარიგო ნაწილები	2,174,896	1,555,046
სხვა მარაგები	1,873,544	1,872,584
მარაგები სულ	4,268,116	3,816,618

11. გრძელვადიანი სესხები.

	2023	2022
ძირითადი თანხა	5,244,330	5,268,900
გადასახდელი პროცენტი	1,363,526	948,402
სულ	6,607,856	6,217,302

შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო ლტდ-ის 2020 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 1,950,000 აშშ დოლარის 10 წლის ვადით სესხებასთან დაკავშირებით. სესხის წლიური სარგებელი განისაზღვრა 8%-ით. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, როგორც ძირითადი თანხის, ასევე სარგებლის გადახდა უნდა დაიწყოს 8 წლის შემდეგ.

ამ ნასესხები თანხითაა 2020 წელს შესყიდული შპს მაივეი ეარლაინს კო ლტდ-ის წილი.

12. შემოსავლები.

	2023 წელი	2022 წელი
რეგულარული რეისები	1,717	71,543
ჩარტერები	3,778,523	28,493,009
სხვა	12,637,718	32,166,423
სულ	16,417,958	60,730,975

13. თვითღირებულების ელემენტები

	2023 წელი	2022 წელი
კვება - ბორტზე	65,667	120,204
თვითმფრინავის მომსახურება	254,293	3,937,319
ნავიგაცია და აეროპოტის ხარჯები	56,773	2,611,614
ნებართვები	1,558	269,481
ეკიპაჟის შენახვა და ტრენინგი	488,755	492,770
საკომისიო (სააგენტოების)	135,850	104,928
ხომალდის უსაფრთხოება	477	76,985
საწვავის ღირებულება	9,362,153	11,631,291
თვითმფრინავის ტექნომსახურება (MENTENENS)	2,881,561	1,643,045
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	646,319	2,218,513
სულ	13,893,406	23,106,150

სავალუტო კურსები	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
1 აშშ დოლარი (USD)	2.6894	2.7020
1 ევრო (EUR)	2.9753	2.8844
10 ჩინური იუანი (CNY)	3.7819	3.9063

შპს ფლას ავთენტიკი ინვესტიციები კო ლტდ-ის
დირექტორი რატი ბაკურაძე

სავალუტო კურსები	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
1 აშშ დოლარი (USD)	2.6894	2.7020
1 ევრო (EUR)	2.9753	2.8844
10 ჩინური იუანი (CNY)	3.7819	3.9063

შპს ფლას ავთიშენ ინვესტმენტ კო ლტდ-ის
დირექტორი რატი ბაკურაძე



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ კო ლტდ-ის დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ კო ლტდ-ისა და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში „ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ფლას ავთიუმენ ინვესტმენტ კო ლტდ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 16 იანვარს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგისა და ნაღდი ფულის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური მდგომარეობის, მოგებისა და სხვა სრული

შემოსავლისა და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგებებში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების

საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ

არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835) შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი 25.09.2024 წ

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835) შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,
ოთარ ახოზაძე
გარიგების პარტნიორი
ხელმოწერა

თარიღი 25.09.2024 წ

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„შპს ფლას ავთენტიკი ინვესტმენტ კო., ლტდ“

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

- ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები

შპს „ფლას ავიეიშენ ინვესტმენტ კო., ლტდ“, (ს.კ. 406311842, დირექტორი - საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი - რატი ბაკურაძე პ/ნ: 01024062061) ფლობს 100%-იან წილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაივეი ეარლაინს კო ლტდ“ _ში (ს.კ. 406178835 შემდგომში „ავიაკომპანია“) და აღნისნული ავიაკომპანიის მართვის გარდა სხვა საქმიანობით არ არის დაკავებული.

შპს „მაივეი ეარლაინს კო ლტდ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 02 ივნისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი B18203836, საიდენტიფიკაციო ნომერი 406178835. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, IV კვ., მიმდ. ნაკვეთი 14/428, 14429, ვაზისუბნის III მ/დ, II კვ., კორპ. N11-ის მიმდ. ავიაკომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სამგზავრო და სატვირთო საჰაერო გადაზიდვები, ძირითადად საერთაშორისო რეგულარული და ჩარტერული ავიარეისების განხორციელების გზით.

შპს „მაივეი ეარლაინს კო ლტდ“ არის ქართული ავიაკომპანია, რომელიც ცდილობს მოიპოვოს ბაზრის წილი და ხელი შეუწყოს მგზავრთა რაოდენობის ზრდას. ჩვენი მიზანია, გამოვიყენოთ ეკონომიკურად უსაფრთხო შესაძლებლობა და განვახორციელოთ ოპერირება ყველა დაგეგმილი მიმართულებით, დაგეგმილი ფრენების ქსელის ფარგლებში. ავიაკომპანია გეგმავს საქმიანობის გაფართოებას პუნქტებს შორის არსებული ბაზრის მიღმა, რომელიც მოიცავს ტრანზიტული ფრენების შესრულებას ქსელის ფარგლებში. ავიაკომპანია მგზავრებს მოიზიდავს: კონკურენტუნარიანი ფასების, მომსახურების ხარისხის, უსაფრთხოებისა და თვითმფრინავების არჩევანის საშუალებით, მომსახურების მიმზიდველობას უზრუნველყოფს მოხერხებული გრაფიკით, დაგეგმილი ქსელის ფარგლებში.

კომპანიის ხელმძღვანელობამ დაარსების პირველივე დღიდან განსაზღვრა მთავარი კურსი - მაღალი ხარისხი, ეფექტური მენეჯმენტი და კვალიფიციური კადრები.

მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა შესაძლებელია კვალიფიციური პარტნიორების მეშვეობით. კომპანიის პარტნიორები არიან დარგის ლიდერი კომპანიები საერთაშორისო მასშტაბით:

BOEING;

JEPPESEN GMBH;

SAFRAN (Engine maintenance)

FLIGHT DATA- Analysis provider – „Air Mandarin“;

და სხვა...

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წლისთვის შეადგენდა 87 ადამიანს. 2022 წლის განმავლობაში კომპანიაში განხორციელდა მენეჯმენტის ცვლილება და ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა.

ავიაკომპანიას სამიზნეს წარმოადგენს ბაზრის ყველა სეგმენტი, კომპანია ცდილობს შეიქმნას კონკურენტუნარიანი პოზიცია მომხმარებლისათვის მარშრუტების ფართო ქსელის შეთავაზებით, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ერთი პუნქტიდან მეორეში მგზავრობას, არამედ ხელს შეუწყობს და წახალისებს ტრანზიტულ ფრენებს. ავიაკომპანია ასევე იზრუნებს დაიმკვიდროს თავი როგორც ჩარტერული ფრენების სანდო მიმწოდებელმა მიმზიდველი ჩარტერული ფრენების შეთავაზებით. ავიაკომპანიის მმართველი გუნდი ასევე იკვლევს განრიგებსა და დანიშნულების ადგილს, ტვირთების პოტენციალს და მომხმარებელს შესთავაზებს ექსპრესს ამანათების და კურიერის მომსახურების შესაძლებლობებს ქსელის ყველა მარშრუტზე.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

- სამგზავრო გადაყვანა;
- სატვირთო გადაზიდვა;
- ფოსტის გადაზიდვა;

ავიაკომპანიას გააჩნია თვითმფრინავების ფლოტი, ინვენტარი და საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

თვითმფრინავი	ტიპი	მიღების თარიღი
1	737-700	ივლისი 2021

ავიაკომპანიის საფრენოსნო შემადგენლობა, მფრინავებისა და ბორტგამყოლების სახით, მაღალი პროფესიონალური კვალიფიკაციის შენარჩუნების მიზნით, რეგულარულად გადის მომზადებას ევროპის წამყვან საავიაციო სატრენინგო ცენტრებში: “Air Baltic Training Centre”- ვილინუსი, ლიეტუვა, “Flight Simulator Company” - ამსტერდამი, ნიდერლანდები და სხვა. გარდა პრაქტიკული მომზადებისა, საფრენოსნო-ტექნიკური შემადგენლობის სრული გუნდი გადის სხვადასხვა სპეციფიურ მომზადებას, რომელიც რეგულირდება როგორც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) მიერ.

- **კომპანიის მომავალი განვითარების გეგმა**

ავიაკომპანია მომსახურებას უწევს და ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ავიაკომპანია :

1. ქართველ მგზავრებს შესთავაზებს უსაფრთხო და სანდო სამშობლოში დაბრუნების ალტერნატივას;
2. გააქირავებს ფლოტის ნაწილს სველი ლიზინგის წესით სხვადასხვა პროექტებზე;
3. გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს საქართველოს ავიაციის სექტორში;
4. იქნება მნიშვნელოვანი გადამხდელი საქართველოს ბიუჯეტში;
5. ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და გაფართოებას;
6. ხელს შეუწყობს ახალი კადრების მომზადებას, ასაქმებს და კვლავ დაასაქმებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს.
7. საქმიანობის ფარგლებში ხელს შეუწყობს საქართველოს წინ წაწევას რეგიონსა და მთელ მსოფლიოში;

კომპანია არის მომავალ გრძელვადიან პერიოდში მისაღებ მოგებაზე ორიენტირებული, ამიტომ ვაპირებთ ფლოტის გაზრდას და ახალი მიმართულებების გახსნას. ავიაკომპანიას ჰყავს ასევე გამოცდილი პერსონალი, აქვს ხარისხისა და უსაფრთხოების მართვის განყოფილებები, რაც ავიაკომპანიის ხარისხიანად და უსაფრთხოდ მუშაობის განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

- **კონსოლიდირებული ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

მაჩვენებელი	2022	2023
შემოსავალი	60 730 975	16 417 958
მოგება /ზარალი	60 730 975	-16 477 453
თანამშრომელთა რაოდენობა	75	68

შპს „მაივეი ეარლაინს კო ლტდ“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს. ავიაკომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2016 წელს. ფლოტის გაფართოების, საჭირო დოკუმენტაციის მომზადებისა და მრავალმხრივი სერტიფიცირების შემდეგ, 2018 წლის იანვრიდან სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, მიენიჭა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი (#092).

პირველ ეტაპზე მიმდინარეობდა ძირითადი საშუალებების, მათ შორის საჰაერო ტრანსპორტის ჩამოყვანა-რეგისტრაცია, ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამ ეტაპზე, უშუალოდ წარმოების გარდა გაწეული იქნა ადმინისტრაციული, სარეკლამო და სხვა ფინანსური ხარჯები. 2018 წელს დაიწყო საჰაერო ფრენები, თუმცა ბუნებრივია ვერ მოხერხდა სრული სიმძლავრით დატვირთვა. 2019 წლის შემოსავლებმა მკვეთრად მოიმატა, 2018 წელთან შედარებით, რამაც განაპირობა ზემოთაღნიშნულ პერიოდთან შედარებით ზარალის ოდენობის მკვეთრი შემცირება, რაც მანიშნებელია იმისა, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. რეალურად საავიაციო ბიზნესში არანაკლებ პირველი სამი წელი არარენტაბელურია, რაც ბუნებრივია კომპენსირდება შემდეგ პერიოდში.

საფრთხეები

- ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური სტაბილურობა რეგიონში.
- ზრდადი საერთაშორისო კონკურენცია.
- ახალი მარეგულირებელი საკითხები.
- ეროვნული ვალუტის მერყეობა
- ნავთობის ფასის ზრდა.
- საავიაციო სფეროს მომსახურე ძირითადი ორგანიზაციების (აეროპორტი, ნავიგაცია) მიერ მომსახურების ტარიფების ზრდის ტენდენცია.

საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია ავიაკომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას.

ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები და მეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- კადრების ადმინისტრირება
- ხელფასები და კომპენსაციები

- ქვევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები
- საჩივრები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე. ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ავიაკომპანიის მიზნების მდგრად განვითარებას.

დირექტორი

რატი ბაკურაძე

19/09/2024

- ქვევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები
- საჩივრები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე. ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ავიაკომპანიის მიზნების მდგრად განვითარებას.

დირექტორი

რატი ბაკურაძე



19/09/2024